პროგრამის სახელწოდება: ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრადი წარმოება

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 4

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 3

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15 სთ.

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა - 45 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური -5 მაქსიმალური -15

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია მოამზადოს ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრადი წარმოების სპეციალისტები და შესძინოს მათ საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ასევე სათანადო კომპეტენცია, რათა შეძლონ პროფესიული საქმიანობის წარმატებულად განხორციელება, როგორიცაა, ტყის არამერქნული პროდუქტების მიმართულებით ბიზნესის დაგეგმვა და პროდუქციის რეალიზაცია, კომერციულად მნიშვნელოვანი ტყის არამერქნული პროდუქტების იდენტიფიკაცია, შეგროვების არეალების დარუკება, მდგრადი შეგროვების ვადების, მეთოდების და აღჭურვილობის შერჩევა, ნედლეულის პირველადი დამუშავება და ხარისხის შეფასება, გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესის, შეფუთვის და შენახვის პირობების შერჩევა და საქმიანობისას სურსათის უვნებლობის და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. ტყის არამერქნული პროდუქტების გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობის აღწერა.
2. ტყის არამერქნული პროდუქტების მიმართულებით ბიზნესის დაგეგმვის და რეალიზაციის გზების აღწერა.
3. ტყის არამერქნული პროდუქტების იდენტიფიცირება და შეგროვების არეალების დარუკება.
4. ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრადი შეგროვების ვადების, წესების, მეთოდების და აღჭურვილობის შერჩევა.
5. ტყის არამერქნული პროდუქტების პირველადი დამუშავების და გადამუშავებისას სურსათის უვნებლობის და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა.
6. ტყის არამერქნული პროდუქტების ნედლეულის შეფასება და პირველადი დამუშავება.
7. ტყის არამერქნული პროდუქტების გადამუშავება, შეფუთვა და შენახვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული მომზადების პროგრამა „ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრადი წარმოება“ შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრადი წარმოების სპეციალისტისთვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებას. პროგრამის კურსდამთავრებული აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ცოდნითა და უნარით, რაც ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრადი წარმოებისთვის არის საჭირო. პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 3 კვირას, კვირაში 15 საათის ოდენობით, ჯამში პროგრამის მოცულობა 45 საათია. პროფესიული მომზადების პროგრამა განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით. კერძოდ, ზოგიერთი სწავლების შედეგი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე. პროგრამის ფარგლებში ასევე მოხდება საველე პრაქტიკის გავლა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშ დაქვემდებარებული ტყის ფონდის ტერიტორიებზე.

პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება ინტერაქციული ლექციის, დისკუსიის, დემონსტრირებისა და პრაქტიკული მეცადინეობის გზით. პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება განმსაზღვრელი შეფასება, რომელიც განხორციელდება ყოველი სასწავლო კვირის ბოლოს და რომლის დროსაც შეფასდება მსმენელების თეორიული ცოდნა (ტესტირება) და პრაქტიკული უნარები (პრაქტიკული დავალება დაკვირვებით). პროფესიული მომზადების პროგრამის დასრულების შემდეგ, მსმენელებს გადაეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები და შეეძლება დასაქმება გადამამუშავებელ საწარმოში ან თვითდასაქმება.

პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინკლუზიურობას, ქალებისა და კაცების თანაბარი ჩართულობის ხელშეწყობას, აგრეთვე ქალების, როგორც ტყის არამერქნული პროდუქტების სექტორში უმნიშვნელოვანესი აქტორების წახალისებას მათი უნარების და შესაძლებლობების გაძლიერების გზით. პროგრამის დიზაინი და შინაარსი საშუალებას აძლევს სხვადასხვა ასაკის, სქესი/გენდერის, ინტერესის, ღირებულების მქონე მსმენელს, ჩაერთოს თანასწორ, სამართლიან და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესში.